№ 126

ხუთშაბათი, 26 ივნისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 126

ხუთშაბათი, 26 ივნისი 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 1 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| [illegible] | 8 — | 3 | 3 50 |
| 1 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 1 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ[illegible]—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავლაბრის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—127—1)

## კბილის ექიმი

## ვ. ი. ჭიჭინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, 21 („ივერიის“ რედაქციის ქვეშ). (7)

### ივერიის რედაქციისაგან

ვაუწყებთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მხოლოდ ნახევარის წლის ფული აქვს შემოტანილი, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ არ წარმოადგინეს დანარჩენი ფულიც.

ამასთან ვაცნობებთ ხელის-მომწერლებს, რომ თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა, უნდა წარმოადგინოს ერთი მანეთი, ხოლო სხვა ყოველის ადრესის შეცვლისათვის-კი—ორი აბაზი.

## ახალი ამბავი

—

*** ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ტფილისის გუბერნიის გლეხთა საზოგადოებათათვის ტფილისის გუბერნატორის თ. შარვაშიძის თაოსნობით დაწესებულია ეგრედ წოდებული სოფლის სამეურნეო კაპიტალი და პურის ამბრები, რომელიც უნდა შესდგნენ გლეხთა მიერ შეტანილ ფულითა და პურითა. 1897 წ. პირველს იანვრამდე რაც შესულა პური, თუ ფული და თვითეულ საზოგადოებათა სახელობაზე პურია ამბრებში და ფული ბანკებში ყოველ ამისი ანგარიში ეხლა ხელთა გვაქვს და ამ ანგარიშიდამა სჩანს, ტფილისის გუბერნიის გლეხთა საერთოდ აქვთ ფული 972,754 მანეთი და 5 კაპ. და პური 206,982 ფუთი. დაწვრილებითს ცნობებს ამ ფრიად შესანიშნავ საქმის შესახებ თავისს დროზე ვაუწყებთ მკითხველთა.

*** ჩვენ შევიტყეთ, ვითომც საჩივარი შესახებ წლევანდელის წლის საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრების უკანონობისა გადადებულ იქმნა გასასინჯავად სექტემბრისათვის.

*** 24 ივნისს მოხდა საჯაროდ გასყიდვა ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკში ტფილისის მამულებისა. გასასყიდად ჩავარდა ცხრა მამული, ამათში გაიყიდა რვა და ერთი დარჩა ხელ-მეორედ გასასყიდად 14-ს ივლისისათვის. 26 ივნისს იმავე ბანკში გასასყიდად დანიშნულია სხვა ქალაქების მამულები და 28 ივნისს სოფლის მამულები.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი 24 ივნისს ბორჯომში წავიდა.

*** ქალაქის არჩევანების გამო წარდგენილი საჩივარი შეიძლება დღეს, 26 ივნისს, იქმნას განხილული საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოს სხდომაზედ. ამავე სხდომაზედ განიხილავენ მომავლის 1898 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვას.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას თავისს წევრთა შორის ამოურჩევია: თავმჯდომარედ—თავ. ს. რ. ვახვახიშვილი, თავმჯდომარის თანაშემწედ—გ. მ. ლასხიშვილი, ხაზინადრად—მ. დ. კვალიაშვილი და გამგეობის მდივნად—თავ. ი. გ. აბაშიძე.

*** მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების სამინისტრო ჰგზავნის კავკასიაში სამთო ნაწილის ინსპექტორს ბ. ურბანოვიჩს განჯის გუბერნიაში და ბათუმის მახლობლად იმ ადგილების გასაცნობად და შესასწავლად, სადაც რკინის მადნეულობა არის. ბ-ნს ურბანოვიჩს მინდობილი აქვს აგრეთვე გაიცნოს, ტყიბულის მადნებში როგორ სწმენდავენ ქვის ნახშირს ცეცხლის საშუალებით.

*** შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს ტფილისის მაზრის, ს. მარტყოფის მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობისათვის ყურადღება მიუქცევიათ და შესაძლებლად უცვნიათ, რომ მათზედ დარჩენილი შეუტანელი გარდასახადები 4,085 მან. და 86 კაპ. ამ მიმდინარე წლის 1-ლ იანვრიდგან ხუთის წლის განმავლობაში იქმნას გარდახდილი, რისათვისაც მთელი დარჩენილი ფული ხუთ თანაბარ ნაწილად იქმნება გაყოფილი.

*** ტფილისის მაზრის ს. დიღმის მცხოვრებთა განაჩენი იმის შესახებ, რომ საზოგადოების ხარჯით ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა დაეარსებინათ, ტფილისის გუბერნატორს უკვე დაუმტკიცებია.

*** აზრადა აქვთ დააარსონ ზოგიერთს ადგილებში ღვინის გამოსაკვლევი სადგურები, სადაც დრო გამოშვებით სავაჭრო ღვინოების ჰაშნიკებს გასინჯავენ და იმის ავკარგიანობას გამოიკვლევენ. აგრეთვე აზრადა აქვთ გამოიკვლიონ რა და რა ნივთიერებას უმატებენ ღვინოს და აღკრძალონ მათი ხმარება. ესევე სადგური გამოიკვლევს იმას, თუ როგორ უნდა გაარჩიოს მყიდველმა ბუნებითი ღვინო ხელოვნურად მომზადებულისაგან, და შეიმუშავებს ამ უკანასკნელ ღვინის გამკეთებელთა დასასჯელ კანონებს.

*** როგორც სიღნაღის მაზრის უფროსის ჩვენებიდგანა სჩანს, ზემო-მაჩხაანში საქონელს ციმბირის ჭირი გასჩენია.

*** როგორც გაზ. „მშაკი“ სწერს ეჩმიაძინის სინოდის პროკურორს ბ-ნს ყანჩელს მიუმართავს სინოდისათვის, რომ სინოდის ხაზინადარი, არქიმანდრიტი ვაჰან ტერ-გრიგორიანი სისხლის სამართალს მისცეს. ბ-ნი ყანჩელი ვაჰან-ტერ-გრიგორიანს სხვადა-სხვა ბოროტ-მოქმედებასა, სიყალბესა და ხაზინის კასსიდამ ფულის მოპარვასა სდებს ბრალად. სინოდს ხსენებული არქიმანდრიტი დაუთხოვნია და მის მაგიერად არქიმანდრიტი აშოთი დაუნიშნავს.

—

*** თელავის მაზრის უფროსი სწერს ტფილისის გუბერნატორს, რომ 17 ივნისს მოსულმა საშინელმა სეტყვამ ს. წინანდალში ვენახები და ნათესები მთლად მოაოხრა და ვერც ერთი გლეხი მარცვალს ვერ მოიმკის და ცვარი ღვინო არ მოუვაო. ამისათვისო, სწერს მაზრის უფროსი, საჭიროა უთუოდ ყურადღება მიაქციოს მთავრობამ და წრევანდელი სახელმწიფო და საბეგრო გარდასახადები მთლად ეპატიოთ, რადგანაც თავის გამოკვებაც-კი მეტად გაუჭირდებათ, არა თუ გარდასახადების გაღებაო.

*** ავლაბარში, რკინის გზის ლიანდაგის მეორე მხარეს, თავ ბებუთოვის ადგილზედ ერთ ღამეს მთელი უბანი გაშენდა. ყველანი ღარიბლატაკები არიან, მიწა შეისყიდეს თ. ბებუთოვისაგან საჟენი 1 მ. 50 კ. და 2 მანეთად და ზედ უგეგმოდ გააშენეს თავიანთი ქოხები. საქმე იმაშია, რომ ამ ადგილზედ 1846 წელს

## ფელეტონი

—

### თევზის მრეწველობა მდ. მტკვარზედ.

მეთევზეობა ისეთივე უძველესი მრეწველობაა, როგორც თვით კაცობრიობა. უხსოვარ დროიდგანვე ადამიანი თავისის კუჭის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სხვა საშუალებათა შორის მისდევს მეთევზეობას. რასაკვირველია, პირველ დროინდელს მრეწველობას თევზისას ის ხასიათი არ ექნებოდა, როგორიც ეხლა: რაც დრო გადის, თანდათან მოთხოვნილება თევზისა ჰმატულობს ხალხში, იარაღი თევზის ჭერისა იცვლება, უმჯობესდება და თვით კანონმდებლობაც ამ საგნის შესახებ რთულდება. ესეა არამც თუ მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიაც: გერმანიასა, ავსტრი-უნგრეთსა, საფრანგეთსა, ინგლისში და სხ. ყველგან, ყველა ხალხში მეთევზეობა იწყება მდინარეებსა და ტბებში; შემდეგ ადამიანი აღარა კმაყოფილდება ამით და მიისწრაფის ზღვისკენ თევზის ჭერის საწარმოებლად.

მდ. მტკვარი, რომელიც ჩაერთვის კასპიის ზღვას ჯევათის მაზრაში, მდიდარია თევზით. მტკვარში თევზი შემოდის ზღვიდგან. არის საზოგადოდ იმისთანა თევზი, რომელსაც მლაშე წყალი უყვარს და ამისათვის ზღვაშივე რჩება ქვირითის დასაყრელად. მაგრამ არის კიდევ იმისთანა თევზიც, რომელიც ქვირითის დასაყრელად ეძებს უმარილო წყალს და ამისათვის მიდის მდინარეში. როგორც ამბობენ, კასპიის ზღვაში არ არის თურმე ეგრედ წოდებული ზღვის თევზი, ე. ი. იმისთანა თევზი, რომელიც ზღვაშივე რჩებოდეს ქვირითის დასაყრელად. ყველა თევზი კასპიის ზღვისა უმარილო წყალსა ანუ მდინარეებში მიდის ამ აზრით. მტკვარშიაც ამისათვის შემოდის თევზი კასპიის ზღვიდგან. მხოლოდ სხვა-და-სხვა თევზი სხვა-და-სხვა დროს შემოდის. ამისათვისაა, რომ მტკვარში ყოველთვის ერთნაირი თევზი არ გამოდის. მარტიდგან ივნისამდე კარგად გამოდის: ზუთხი-თართი, ზუთხი, ლოქო, ჭანარი. ივნისიდგან სექტემბრამდე ნაკლებადაა ეს თევზები. დეკემბრიდგან მარტამდე კარგად გამოდის: ორაგული, შამაია, ხაშამი, კუტუმი, ფარგა-თევზი, კაპარჭინა-თევზი, ტარაშკა. რომელი თევზიც ზღვიდგან შემოდის მტკვარში და მიდის ზევით თავისს ბინაზედ ქვირითის დასაყრელად, ეძახიან „გამვლელს თევზს“ (проходная рыба). თუ გზაში გადაურჩა დაჭერას ეს თევზი, რასაკვირველია, თავისს ადგილზედ ჰყრის ქვირითს და შემდეგ ისევ ბრუნდება იმავე გზით—მტკვარ-მტკვარ ზღვაში. დაბრუნების დროსაც შეიძლება იგი დაჭერილ იქმნას, მაგრამ ამ გვარი თევზი, როგორც გამიგონია, თურმე არ ვარგა, დაუძლურებულია, დასუსტებული. ამ გვარ თევზს ეძახიან „თავქვე მომავალ თევზს“ (покатная рыба), რადგან ზევიდგან ქვემოდ მოდის. დაყრილ ქვირითიდგან მრავლდებიან თევზები მტკვარში. როცა დრო მოუვათ, ესენიც ზღვაში მიდიან, მხოლოდ შემდეგ ისევ მტკვაში ბრუნდებიან ქვირითის დასაყრელად. ამ გვარი მიმოსვლაა თევზისა ზღვიდგან მტკვარში და მტკვრიდგან ზღვაში.

უეჭველია, რომ მდ. მტკვარი თავისის ბუნებითის სიმდიდრის გამო— თევზის სიმრავლით — ძველადგანვე მიიპყრობდა ადამიანის ყურადღებას. ასეც ყოფილა. ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნეში, როდესაც სალიანის მხარე სპარსეთის ხელში იყო, აქ მოდიოდნენ თურმე ნავებით რუსები თევზის საჭერად მდ. მტკვარში. იმ დროს არავითარი წეს-რიგი, არავითარი კანონები ამ საგნის შესახებ არა ჰსუფევდა. ყველას შეეძლო ეჭირა თევზი თავისუფლად, როგორც უნდოდა, მხოლოდ შირვანის ანუ შემახიის ხანისათვის (იმ დროს სალიანის მხარე შირვანის სახანოს ნაწილს შეადგენდა) უნდა ეძლიათ თითოეულს დაჭერილ თართზედ—5 კაპ., ზუთხზედ—2$^1/_2$ კაპ., სამ შამაიაზედ—5 კაპ., ორ გულზე—25 კ. მე-XVIII საუკუნის გასულს მტკვარი აიღო იჯარით ბერძენმა ვარვაციმ (ასტრახანის მოვაჭრეებთან ერთად—ტელეპნევსა და ჩურეკოვთან) შირვანის ხანისაგან წელიწადში 5,000 მანეთად. იმ დროს თურმე ასტრახანში გაჰქონდათ ყოველ წლივ 10,000-მდე თართი, 8,000-მდე ზუთხი და 200,000 ზუთხა-ღორი. ვარვაციმ დიდი ფული მოიგო მაშინ თევზის მრეწველობით. მისი ქონება-სიმდიდრე, როგორც ჰფიქრობენ, შეადგენდა 5,000,000 მანეთს. ვარვაცის შემდეგ მტკვარი აიღეს ხანისაგან იჯარით ჯერ დურნოვმა და მერე საპოჟნიკოვმა. 1813 წლიდგან 1824 წლამდე მტკვარი ეჭირა ნადვორნი სოვეტნიკს ივანოვს, რომელიც აძლევდა წელიწადში იჯარას პირველად 11,000, შემდეგ 14,000 ბაჯაღლო ოქროს. 1822 წლამდე ამ იჯარას

ხოლვერობის დროს ხოლვერით დახოცვილებს მარხამდნენ ხოლმე და ეხლა მ წის გათხრის დროს შეიძლება ხოლვერიან საფლავს წააწყდნენ და ამ რიგად ხელმეორედ გააჩინონ ეს საზარელი სენი. მართალია 24 ივნისს ქალაქის ტეხნიკოსმა და ზემლემერმა გასინჯეს ხსენებული ადგილი და შესაფერი ოქმი შეადგინეს, მაგრამ მარტო ოქმით არაფერი იქნება, საჭიროა ეხლავე აღეკრძალოთ სახლების გაშენება და საერთოდ მიწის გათხრა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ხოლვერას ვერ ავცდებით („ტფ. ფურც.“)

*** ახალ-სენაკი, 18 ივნისი. უნდა აღვნიშნო აქაური უფრო შესანიშნავი ამბავი, რომელმაც მთელი აქაური საზოგადოება დიდიდგან პატარამდის აალაპარაკა. მოგეხსენებათ, რომ ახალ-სენაკში „კლუბი“ იყო დაარსებული. ამ „კლუბის“ წევრებად აქაურნი ინტელიგენტნი იყვნენ, რომელთაც არავითარი ხარჯი არ ეზარებოდათ, ოღონდ-კი „კლუბი“ არ მოსპობილიყო. მაგრამ წარმოიდგინეთ, საბრალო „კლუბმა“ თვისი სიცოცხლე მოსპო და საუკუნოსა განსვენება!ა შინა ამოჰყო თავი. მიზეზი ამისა, რასაკვირველია, როგორც აქაურები ამბობენ, ჩვენი „მეთაურები“ არიან, ის „მეთაურები“, რომლებიც აქლემებივით დაეტაკნენ ერთმანეთს და საწყალი კოზაკი შუაში გასრისეს. ამ „მეთაურებთა“ შორის ხან-და-ხან უთანხმოებაც იჩენდა თავსა ხოლმე, რომელსაც შედეგად „კლუბის“ დაკეტვა მოჰყვა. რითი იმართლებენ ეხლა თავს, ჯერ ეს საიდუმლოა.

გაგვაკვირვა უფრო 8 ამ თვეს „კლუბის“ ნივთების საჯაროდ გასყიდვამ, სადაც მრავალს წევრებს მოეყარათ თავი და საჯარო გასყიდვაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ. მართლაც, 8 ივნისს საჯაროდ გაიყიდა ჩვენის ხან-მოკლე „კლუბის“ ხის ავეჯი და სხვა ნივთები. დაიკეტა „კლუბი“ და მით ბოლო მოეღო ამ ერთად ერთს დაწესებულებას ახალსენაკელებისას...

*** როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, ტფილისის საბალოსნო სკოლის გამგედ სამინისტრომ ბ-ნი კრავჩენკო დანიშნა. დღემდის სკოლის გამგეს ჯამაგირად მხოლოდ 900 მან. თურმე ეძლეოდა. მაგრამ სამინისტროს ახალის დანიშნულებით, კრავაჩენკომ 1500 მან. უნდა მიიღოს წლიურად და ამავე დროს ერთ-ერთი სპეციალური საგანი ასწავლოს რისთვისაც 600 მან. აქვს წამატებული. მაგრამ საქმე ის არის, რომ სამეურნეო საზოგადოებას ამ სპეციალურის საგნის მასწავლებლად უკვე ჰყავს მოწვეული ბ-ნი ავალიანი, რომელიც 600 მან. იღებს და კრავჩენკოს მხოლოდ 900 მან.-ღა რჩება. ესეც მეორე უხერხულობაა: ან ბ-ნმა ავალიანმა უნდა დაანებოს თავი მასწავლებლობას, ან-და კრავჩენკომ იკმაროს წელიწადში 900 მან. ყოველივე ეს მხოლოდ იმისი ბრალია, რომ სამინისტრო დროზედ არ დაეკითხა საზოგადოებას და როგორც გამგეს დანიშვნა, ისე ჯამაგირისა, თავისით გარდასწყვიტა, რასაკვირველია, წინააღმდეგ საზოგადოების წესდებისა.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გუშინწინდელს სხდომაზედ, რომელსაც დაესწრნენ: ბ-ნი ბოლოტოვი, ნ. ი. კრიდნერი, ი. ი. პანტიუხოვი, ა. ა. ქალანთარი, ნ. პ. ტარატინოვი და სხ. აღნიშნულ იქმნენ ის საგნები, რომელთაც უსათუოდ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. აი, ეს საგნები:

I. ყოველს შემთხვევაში, როდესაც რაიმე გადამდები სენი გავრცელდება, უთუოდ უნდა დაიკლას ჭირიანი საქონელი, თუ სხვა რამ საშუალება შეიძლება იხმარონ?

II. ეძლიოს თუ არა საჩუქარი დაკლულსა, ან თავისით მომკვდარს საქონელზედ პატრონს და თუ მიეცეს რამდენი?

III. რა საშუალება უნდა იქმნას ხმარებული, რომ დაკლულ საქონლის ლეშიდგან გადამდები სენი არ გავრცელდეს.

IV. რა ნაირად უნდა ინახებოდენ საქონლის ბაკები, რომ სენი არ გავრცელდეს.

V. რამდენად დიდი სასყიდელი უნდა მიეცეს დაკლულს საქონელზედ პატრონს

VI. საბეითალო მეთვალყურეობა და მისი დანიშნულება საქონლის ერთის ადგილიდგან მეორეზედ გადარეკვის დროს, როგორ შეიძლება საქონლის გადალალვის საქმის უკეთესად მოწყობა? რა გზები უნდა ამოირჩეს ამისათვის და რა ადგილებში დააყენონ ხოლმე საქონელი.

VII. როგორ უნდა ადევნონ თვალყური ბეითალებმა საქონლის გადაყვანის დროს რკინისა, ან სხვა გზით.

VIII. რა ნაირად უნდა წაასხან ხოლმე საქონელი, ან გადაიტან-გადმოიტანონ საკლავ საქონლის ხორცი და სხვა სამეურნეო ნაწარმოები კავკასიის ერთი ადგილიდგან მეორეში, ან გარეშე კავკასიისა როგორ გაიტანონ.

IX. რა ნაირად მოუპოვონ ყოველსავე ამას ბაზარი და რა საბეითალო მეთვალ-ყურეობა უნდა იქმნას დაწესებული.

X. ტყავის ქარხნები და საწყობები და მათი მეთვალყურეობა, საქონლის ბაკები ქალაქებსა და დაბებში და მათი მეთვალყურეობა.

აღნიშნული იქმნენ აგრეთვე საშუალებანი, თუ საძოვარ ადგილებზედ როგორი მეთვალყურეობა უნდა იქონიონ ბეითალებმა, აგრეთვე მწველელ საქონელზედ. დადგენილ იქმნა, სხვათა შორის, ის, რომ გუბერნიაში ბეითალთა რიცხვი მომატებული იქმნას, სხვა-და სხვა ადგილას საქონლის მისალები სამკურნალოები და აფთიაქები დააარსონ, სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვრებზედ მეტი მეთვალყურეობა დაიჭირონ, რომ აქედგან გადამდები სენი არ იქმნას გადმოტანილი და სხვანი.

*** გუშინ წინ, 24 ივნისს, ქალაქის საბჭოს კრების დროს აირჩიეს თავ. პ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკი — ქალაქის უძრავ ქონებათა ხელ-ახლად დასაფასებლად დადგენილ აღმასრულებელ კომისიის წევრად და არა ქალაქის ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრად, როგორც კრების ანგარიშში გვქონდა მოხსენებული, ხოლო ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრად არჩეულ იქმნა ექიმი ოდნოსუმოვი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ოფიშკვითი,** (ქუთაისის მაზრა), 15 ივნისი. ეს მეექვსე კვირა არის ახლა, რაც ჩვენში წვიმა არა ყოფილა. დღეს-კი მშვენიერი ჟუჟუნა წვიმაა; გუშინ საღამოს აქეთ სწვიმს და ჯერ კიდევ არ გადეღოს. თუმცა გვალვისაგან შეწუხებულს სიმინდს მეტად მოუხდება, მაგრამ, სამაგიეროდ, პურს მეტად ავნებს. თუმცა ჩვენში წელს, აპრილიდამ მოკიდებული დღემდის, დიდი გვალვა იყო, პური მაინც არ მოუწყენია და რადგან ღამ-ღამით ნამი ჰქონდა, თავ-თავში მარცვლები დაისრულა და, თუ ბევრხანს არ გასტანა წვიმებმა, პურის მოსავალი, ვისაც-კი უთესია, წელს სწორედ მშვენივრად დაუჯილდოვებს შრომას.

ჩვენში, სიმინდის და პურის თესვის გარდა, ამ უკანასკნელს წლებში კარტოფილის და ლახანის თესვაც შემოიღეს, მაგრამ წელს მაისის გვალვამ გაუფუჭათ *). სამაგიეროდ, აბრეშუმი კარგად მოუვიდათ და კარგს ფასსაც აიღებდნენ, რომ სინდისიანი მყიდველი ვინმე იყოს, მაგრამ ჩარჩების ხელში ჩავარდნა, ხომ მოგეხსენებათ, რა ძნელია. რაცა ღირს, იმისს ნახევარსაც ვერ იღებენ და სხვაგან რომ წაიღონ და სხვას მიჰყიდონ, არ შეუძლიათ, რადგან პირობის ძალით აბრეშუმის პარკი იმას უნდა მიჰყიდონ, ვინც თესლი მისცა. არ იქნება ურიგო, რომ გურიის სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“, ანუ სხვა ჩვენი მახლობელი ამგვარი საზოგადოება ამას ყურადღებას მიაქცევდეს და თავისს აგენტს დანიშნავდეს ამ სოფელში.

აქ შეიძლება ფარდულებიც გაიმართოს, რადგან აქ ამას ბუნებაც და რკინის გზის სადგურის სიახლოვეც ხელს უწყობს. სადგური მუხიანი ოფიშკვითს ეშორება 3—4 ვერსით და ქ. ქუთაისს 12-ით. ბჟოლა (თუთა) აქ მეტის-მეტად ჭარბობს და ტყეშიაც ბევრია. თვით სოფელი წარმოადგენს ვაკე ადგილს, სადაც ყოველნაირ ეტლს ადვილად შეუძლიან იმუშაოს, და მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა ნაპირს, რკინის გზის და მდ. რიონს შუა. ამ სოფლიდგან რიონამდის 4—5 ვერსია, მაგრამ რაც ამ სოფელსა და რიონს შუა ადგილებია, სულ ყველა ჩვენი სოფლელებისაა (საყანე ადგილებით). ჩრდილოეთის მხრით, მუხიანის სადგურისკენ, უძევს თავისი საკუთარი ტყე — „ჭაჭარი“, რომელშიაც არის მუხნარი, თხილნარი, წაბლნარი და სხ. მაგრამ ამ ტყეს, რომელიც ზომით სამი ოთხ-კუთხი ვერსი იქნება, მაღალს არ უშვებენ ყოველს მეოთხე და მეხუთე წელიწადს სჭრიან წნელად თუ ხარიდნად (ხარიდანი ვენახის სახელია, მაგრამ აქ ასე ეძახიან იმ ხარებს, მანებს, რომლებსაც უსობენ ვაზს).

გზები-კი სწორედ საქებარი არა გვაქვს, არც ქუთაისისაკენ და არც მუხიანისკენ, მაგრამ, იმედია, მთავრობა მოწყალე თვალს გადაგვავლებს და კარგს გზებს გაგვიკეთებს.

ს—ნე სანებელი

*) ვისაც სარწყავი ადგილი აქვს, იმას არა უშავს-რა.

## წერილი რაჭიდგან.

წელს რაჭაში ყველგან კარგი პირი უჭირავს ყოველ ნაირ მოსავალსა. საკმაო ნაყოფიერ მწვანე ფოთლებით აშრიალებული ვენახები, მშვენივრად თავდასხმული ყანები და ხავერდის ფრად აბიბინებული მუხლნაყარი სიმინდები სასიამოვნო სურათს წარმოუდგენს მნახველსა. იმ ხმამ, რომ რაჭაზედ რკინის გზა უნდა გავიდესო, აქაურებსაც აუშალა მემადნეობის სალღრღელი. ნამეტურ მთის რაჭაში ამ ჟამად დიდი ძიება კვლევაა ყოველ გვარ მადნისა. უკანასკნელ გლეხს ვერანახავთ, ხელში რაიმე მადნის ნიმუში არ ეჭიროს და არ მიარბენინებდეს რომლისამე მადნის საქმის მცოდნესთან საჩვენებლად. კოჭლი და ბრუტიანი, მრუდი და მართალი ყველა მადნის ძებნა-ჩხრეკას შესდგომია. ასე გასინჯეთ, ეკკლესიის მედავითნესაც-კი ხელი აუღია თავისს პირადს მოვალეობაზედ და თავისს ქუდ მოგლეჯილი დალაწუნობს აქა-იქ მთა გორებზედა, ჩასტირის სიმდი-

---

ივანოვი აძლევდა შირვანის ხანს, მხოლოდ ხანის სპარსეთში გაქცევის შემდეგ—რუსეთის მთავრობას.

1825 წ. მტკვარი და ამასთანავე მექის წყლებიც იჯარით აიღო ერთმა ინდოელმა მოლუნდასოვმა წელიწადში 21,000 ბაჯაღლო ოქროდ, ანუ ჩვენებურად 64,000 მანეთად. ამან დააფუძნა მტკვარზედ ეხლანდელი თევზის სამრეწველო „ბოჟი პრომისლი“. ხალხის თქმულებით, მაშინ ღვთის წყალობით თევზი ბლომად იყო წყალ'ში და ამისათვის დაარქვეს ამ ადგილს სახელად „ბოჟი პრომისლი“. 1826 წ. შემოესივნენ სპარსელები და სულ მთლად აოხრეს ბოჟი პრომისლი. მოლუნდასოვს, რასაკვირველია, დიდი ზარალი მოუვიდა: თევზეულობა, თევზის საჭერი იარაღები და სხვა მასალა სულ მთლად დაეკარგა. იგი თხოულობდა ხაზინიდგან, პირობის ძალით, საჩუქარს ანუ შემწეობას ზარალის აღსადგენად, მაგრამ ამაოდ. ეს დავიდარაბა იმითი გათავდა, რომ კერძო კაცებზედ გაცემა მტკვრისა გაუქმდა და ნაცვლად ამისა 1829 წლიდგან თვით ხაზინამვე იტვირთა თევზის ჭერა, რითვისაც ადგილობრივ ჰყავდა თავისი კაცები ანუ მოურავები და ესენი განაგებდნენ თევზის მრეწველობის საქმეს. ბოჟი პრომისლი განახლებულ იქმნა. პირველი მოურავი ხაზინის მხრივ იყო პოლკოვნიკი მიატიშევსკი, რომელიც დასაფლავებულია ბოჟი პრომისლის სასაფლაოზედ. ხაზინის ხელში, ე. ი. თითონ ხაზინავე იჭერდა თევზს მტკვარში თავისის კაცებით 1829 წლიდგან 1846 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ხაზინა ჰზარალობდა: პირველ წლებში 154,191 მან. იღებდა წელიწადში, მხოლოდ შემდეგ შემოსავალი თან-და-თან მცირდებოდა. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ კავკასიის მთავარ მართებელმა ვარანცოვმა დააწესა ისევ იჯარით გაცემა რვა წლის ვადით. ამგვარად მეთევზეობის წარმოებამ მტკვარზე გასტანა 1846 წლიდვან 1880 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მტკვარი ეძლეოდა იჯარით ერთბაშად, ერთს რომელსამე კერძო კაცს, ან ამხანაგობას. ნაწილ-ნაწილ გაცემა მტკვრისა, როგორც ეხლაა, მაშინ არ იყო. პირველნი მეიჯარადრენი 1847 წლიდგან 1855 წლამდე იყვნენ: მირიმანოვი, არშაკუნი (ტფილისის მოვაჭრე) და მათი ამხანაგობა. არშაკუნი იყო წევრი ამხანაგობისა და ამასთანავე მოურავი. 1855 წლიდგან 1863 წლამდე მეიჯარადრე — მირზოევი (ტფილისის მოვაჭრე), ამის მოურავი ბეჟანოვი. 1863 წლიდგან 1871 წლამდე—გენერალ მაიორი ყორღანოვი. 1871 წლიდგან 1879 წლამდე—ანანოვი, მოურავი ამისი ალიხანოვი. 1879 წლიდგან 1880 წლამდე—მანთაშოვი. აი რა შემოსავალი ჰქონია ხაზინას მეიჯარადრეთაგან 1847 წლიდგან 1880 წლამდე:

1847 წ. დაწყებული 1855 წლამდე წელიწადში—170,000 მან.
1855—1863 წლამდე—312,000 მ.;
1863—1871 წლამდე—381,750 მ.;
1871—1879 წლამდე—393,000 მ.;
1879—1880 წლამდე—405,000 მ.

1880 წლიდგან იწყება ახალი ხანა თევზის მრეწველობის ისტორიაში. ამ დროდგან იწყება მოქმედება ახალის კანონებისა თევზის მრეწველობის შესახებ. აქამდის თუ ერთბაშად ეძლეოდა მტკვარი იჯარით ერთს რომელსამე კაცს, ეხლა იგი დაყოფილ იქმნა ივრისა და ალაზნის შესართავამდის, რამდენსამე სათევზაო ადგილად და ამ გვარად ეძლევათ სხვა-და-სხვათ იჯარით სამის წლის ვადით (პირველ ჯერზე-კი ხუთის წლის ვადით.) 1880 წლიდგან 1894 წლამდე ვინ იყვნენ მტკვრის სათევზო ადგილების მეიჯარადრენი, არ ვიცით, საიჯარო ფასი-კი ამ გვარი იყო: 1880 წლიდგან 1885 წლამდე ხილისა, ბოჟისა და ბანკის სათევზაო ადგილები გაცემული იყო წელიწადში 200,000 მანეთად; ნიკოლაევსკისა—15,510 მან.; სალიანისა (ანუ ჯანგიანი)—10,010 მან.; გენჯალისა—14,200 მან.; ზუბოვსკისა—4,720 მან.; ყოვრათლისა—8025 მან.; ჯევათისა—4,800 მან., ნარიხისა—3,300 მან.; ხოჯალისა—2650 მან.; ფეთხალინისა—2,000 მ.; ზარდობისა—3,303 მ.; კერპიკენტისა-3,760 მ.; ემირისა 1,200—1,600 მანეთამდე; მინგეჩაურისა—4,500 მ.; ზემო-აკუშისა (აკუშა მტკვრის ტოტია)—2460 მან., ქვემო-აკუშისა—7,900 მან.; სევრუჟისა—1,160 მან.

1885 წლიდგან 1888 წლამდე: მინგეჩაურისა—3,010 მანეთად; ემირისა—370—655 მანეთამდე; კერპიკენტისა—886—1105 მანეთამდე; ზარდობისა—750—850 მანეთამდე; ფეთხალინისა—1,100—1,300 მანეთამდე; ხოჯალისა—2,006 მან.; ნარიხისა—6,010—9,012 მანეთამდე; ჯევათისა—4800 მან., ყოვრათლისა—2025—3020 მანეთამდე, ზუბოვსკის—5,366 მან.; გენჯალისა—46,201 მან.; სალიანისა—5,000 მან.; ნიკოლაევსკისა—10,257 მან.; ხილისა—7,300 მან.; ბოჟისა—81,000 მან.; ბანკისა—251,000 მ.; ზემო-აკუშისა—1,100 მან.; ქვემო-აკუშისა—70,600 მან.; სევრუჟისა—14,100 მან.

1888 წლიდგან 1891 წლამდე; მინგეჩაურისა—2,158 მან.; ემირისა—660 მან.: კერპიკენტისა—1,120 მან.; ზარდობისა—1,150 მან.; ფეთხალინისა—1,650 მან.; ხოჯალისა—625—630 მანეთამდე; ნარისისა—12,420 მან.; ჯევათისა—800—1,166 მანეთამდე; ყოვრათლისა—1,000—1,336 მანეთამდე; ზუბოვსკისა—6,230 მანეთამდე; გენჯალისა—93,375 მან., სალიანისა—12276 მან., ნიკოლაევსკისა —

დრით სავსე დედამიწას:

ჰოი შენ, დედამიწაო,
სალარო სიმდიდრისაო,
ცოცხალთა მსაზრდოებელო
და დამმარხველო მკვდრისაო!
მომბეზრდა დავითნის კითხვა,
მარად მსახური მღვდლისაო;
ყოველ დღე სოფელში თრევა
და წიკვა ხურჯუნისაო.
მიწამლე რამე დედილო,
გადამარჩინე ჭირსაო,
დამიხსენ მონებისაგან,
მკითხველი დავითნისაო!
გამხადე წყალობის ღირსი,
თუ გწამდეს მადლი ღვთისაო,
დამაწაფე შენს სიმდიდრეს
მწყურვალე დიდის ხნისაო!!..

მთის რაჭის ს. ღებში უხვად იჩინა თავი მეტად კარგი ღირსების სპილენძის მადანმა, რომლითაც სავსეა აქაური დიდ მანძილოვანი ვებერთელა მთა-გორები. კავკავის ოსებმა კვალანდებულად იწყეს ზიდვა რაჭაში გასასყიდ სიმინდებისა. რადგან ჩვენში ჭირნახულს კარგი პირი უჩანს და შარშანდელი კავკავიდან გადმოტანილი სიმინდებიც ბლომად გვეშოვება, ამისათვის სიმინდის ნიხრმა შესამჩნევად დაიწია.

მიხაკო ღებელი

---

## მაჩხაანის მეორე კლასიანის საეკლესიო სამრევლო სკოლის სვე-ბედი.

ძლივს აღუსრულდათ ქიზიყელებს წადილი. შემდეგ დიდის ხნის მოლოდინისა ამ თვის 8-ს მობრძანდა სოფელ ზემო მაჩხაანში საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურე, ბ-ნი ნ. გ. ტატიშვილი მაჩხაანის მეორე კლასიანი სამრევლო სკოლის გასახსნელად, რომელიც არის არჩეული საეპარქიო საბჭოსაგან და უკვე დამტკიცებულია უწმიდესის სინოდისაგან. მთელის სოფელის მკვიდრნი სამღვდელოებითურთ ამ დღეს იყვნენ შეკრებილნი წმ. არიმათიელის ეკლესიის კარ-მიდამოზედ, სადაც დილიდგან მოელოდებოდნენ ბ-ნ ტატიშვილის მოსვლას. სამწუხაროდ, რადგანაც ძალიან დაგვიანდა იგი, ხალხი დაიშალა სათიბში წასასვლელად. მაინც დიდის სიამოვნებით მიიღეს სოფლის წარმომადგენელთ ბ-ნ მეთვალყურის წინადადება სოფელ ზემო-მაჩხაანში მეორე კლასიანის საეკლესიო სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ სამეურნეო და პედაგოგიურის განყოფილებითურთ. აღუთქვეს კიდეც ყოველის პირობების შესრულება, როგორც სკოლისათვის მიწის მუქთად დათმობისა და შენობის აგების შესახებ, აგრეთვე ყოველ წლიურად ფულით დახმარებისა, ნაცვლად იმ ოცის თუმნის, რომელსაც სთხოვდა მეთვალყურე, სამოცის თუმნით. ამის შესახებ განაჩენიც უკვე შედგენილი ჰქონდა სოფელ ზემო-მაჩხაანის საზოგადოებას პატივცემულის მ. ბლაღოჩინის კ. ღვთისავარაშვილის დაოსნობით, მაგრამ, რადგანაც ამაზედ ეწერათ ხელი მხოლოდ 204 მკვიდრთ, ამისთვის დაჰპირდნენ ბ-ნ მეთვალყურეს დამატებითი ხელის-მოწერის მოგროვებას და ამნაირად სრულებით საქმის დაგვირგვინებას მოკლე ხანში.

დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა ამ საქმეში ბ-ნ მეთვალყურეს სიღნაღის მაზრის უფროსმა კ. ზ. შანშიევმა და მაჩხაანის საზოგადოების ბოქაულმა ბ-ნმა ნ. დ. ერისთავმა. მათ აღუთქვეს ერთხანად ხუთასის თუმნის შეკრება სკოლის სახლის ასაშენებლად და ყოველწლიურის ხარჯის გასაძღოლად გაწერვა მაჩხაანის საზოგადოების სოფლებზედ ექვს-ექვსის შაურისა კომლზედ, რაც შეადგენს (8,000 კომ.) 2,400 მანათს. ეს ფული მიეცემა მხოლოდ იმ პირობით, რომ 600 მანათი მოხმარდეს მეორე კლასიანს სკოლას და დანარჩენის 1800 მანათად დაარსდეს ექვსი ერთკლასიანი საეკლესიო სამრევლო სასწავლებელი: სამი საქალებო და სამიც სავაჟო შემდეგს სოფლებში: ზემო-მაჩხაანსა, ქვემო-მაჩხაანსა, ვაქირსა, ოსაანსა, არბოშიკსა და ანაგაში. მთავრობის მხრივ ბ-ნმა ტატიშვილმა აღუთქვა დახმარება სკოლის შენობის ასაგებად 2,000 მანათისა და ყოველ წლიურის ხარჯის გასასტუმრებლად 1,500 მანათი, სულ სამას ორმოც-და-ათი თუმანი. ასეთი კარგად საქმის წარმართვა იმითი აიხსნება, რომ სოფელ მაჩხაანში სამინისტროს გარდაწყვეტილი ჰქონდა სამეურნეო სასწავლებლის დაარსება, რომლისთვისაც შეწერილი იყო კომლზე თითო მანათი. რადგანიც ეს აღარ მოხერხდა, ამის სამაგიეროდ საზოგადოებამ ისურვა საეკლესიო სამრევლო სკოლების დაარსება 30 კ. კომლზედ შეწერვით.

სოფლის წარმომადგენელთ უჩვენეს ბ-ნს მეთვალყურეს სოფელ ზემო-მაჩხაანში სამგან ადგილი, სადაც შეიძლება გაიმართოს სკოლა. ერთი წმ. გიორგის ეკკლესიასთან, ქვემო და ზემო-მაჩხაანის შუა, ზომით 20 დესეტინამდე; მეორე ფანიანის თავში აზ. სანდრო და დათიკო ბოსტაშვილების მამული ზომით 10 დესეტინამდე და მესამე — ხალდასტანიშვილების მამული წმ. ღვთის მშობლის ეკკლესიის გარშემო, ზომით არა ნაკლებ 5 დესეტინისა. ყველა ეს ადგილები დაეთმობა სკოლას მუქთად და არის შემკობილი ყოველგვარის ღირსებით: საღის ჰავით, ტყით, მწვანით და თვალ წარმტაცის მდებარეობით. უფრო-კი საუკეთესო სადგომს სკოლისათვის შეადგენს პირველი ადგილი. იგი წარმოადგენს მაღლობ, მთა-გორიან ადგილს, საიდამაც, ერთის მხრივ, როგორც ხელის გულზედ, გადაშლილია მთელის ალაზნის ველ-მინდორი გაღმა-მხარითურთ, ხოლო მეორის მხრით შირაქი და უკანა მხარი. თვალი ვერ გაძღება ამ მშვენიერების ცქერით. აქვე აღმოსავლეთ და სამხრეთის მხრივ სდგა და ნაღვლიანად გამოსცქერის მთელს ქიზიყს დიდებული ნაშთი ჩვენის წარსულის ოქროს საუკუნის ცხოვრებისა, — ჰოეთის თამარ დედოფლის ციხე-ქალაქი. ჯერ ნირ-შეუცვლელი მაგრადა სდგას იგი ხალს კლდეზედ დონჯ-შემოყრილი, თითქოს მედიდურად დასცინოდეს დროთა უკუღმართობას და ყოვლის შემმუსვრელ ჟამთა-ვითარებას.

ერთ დიდს ღირსებათაგანს წმ. გიორგის ეკკლესიის არე-მარესას შეადგენს კიდევ ის, რომ იგი წარმოადგენს შუა გულს ადგილს ყველა ქიზიყის სოფლებისთვის, რაიცა შესაძლებელ ჰყოფს ყველა სოფლის მკვიდრთათვის სკოლით სარგებლობას. მთელი ქიზიყი წარმოადგენს ერთს უშველებელს ქალაქს, გზებით და ორღობებით დაყოფილს ნაწილ-ნაწილად (სოფლებად). გარშემო სოფელ ზემო-მაჩხაანს არტყია შემდეგი ქიზიყის სოფლები: ქვემო მაჩხაანი $^1/_4$ ვერსი; პანიაანი 1 ვერსი; ბოდბისხევი 2 ვერსი; ბოდბე 4 ვერსი; მაღარო 5 ვერსი, ქედელი 4 ვერსი, მაშნაარი $5^3/_4$ ვერსი, ნუკრიანი 5 ვერსი, საქობო 6 ვერსი, ასანური $5^1/_2$ ვერსი, ანაგა 9 ვერსი; მეორის მხრივ: მირზაანი $^1/_4$ ვერსი, პრასიაანი 2 ვერსი, ტიბაანი $2^1/_2$ ვერსი, ხირსა $2^1/_4$ ვერსი, ჯუგაანი 3 ვერსი, არბოშიკი, კოტაანი 3, ოზაანა 3 ვერსი, ცლუნკაანი $3^1/_2$ ვერსი.

ამ ადგილას არა ნაკლებ ღირსებად უნდა ჩაითვალოს კიდევ ის, რომ იგი მყუდრო, განცალკევებული ადგილია, მოშორებული დუქნებს, სამიკიტნოებს, ეკკლესიის მახლობლად. აქეთ-იქით მარჯვნივ და მარცხნივ აქვს შემორტყმული ვენახები, ხოლო წინ აქვს დიდი საძოვარი.

ერთად-ერთს ნაკლულევანებას ამ გმშვენიერის, თვალ წარმტაცის კუთხისას შეადგენს, სამწუხაროდ, წყლის სიშორე, რომელიც არის მოშორებული ერთის მხრივ $^1/_2$ ვერსით და მეორისა, 1 ვერსით, მაგრამ ეს ნაკლულევანება უხვად გამოისყიდება, გარდა საღის ჰავისა, სიახლოვით დეპოსა, სამკურნალოსა და აფთიაქთან, რომლებიც მოთავსებულია სოფელ ქვემო-მაჩხაანში და დაშორებულია პირველზე $^1/_2$ ვერსის მანძილით.

აქვე მახლობლად აქვს სადგური მკურნალს, რაიცა დიდს საჭიროებას შეადგენს ყველა სკოლისათვის. ამავე სოფელში სცხოვრობს მაჩხაანის საზოგადოების ბოქაული. სკოლის შენობაც სოფელ ზემო-მაჩხაანში ბევრით იაფად დაჯდება, რადგანაც მაჩხაანის და მირზაანის საზოგადოებანი დაჰპირდნენ უსასყიდლოდ დაუთმონ ქვა-აგურით აშენებული დიდი საწყობი სახლი, რომელიც აქვსთ მათ გედიქზედ და რომლის დაშლა და მოზიდვა თავისის ხარ-კამეჩით იკისრეს თავად. ამ შენობის მასალა სრულიად საკმაოა, რომ გაიმართოს თერთმეტ, თორმეტი თვალი სასკოლო ოთახი თავისის იატაკით, სახურავით და სხვ. სკოლის დროებით მოსათავსებლად სოფელს ზემო-მაჩხაანში, ვიდრე საკუთარს შენობას გაიმართავდეს, აღუთქვა დათმობა 8 თვალიანის შენობისა პატივცემულმა წმ. გიორგის ეკკლესიის მოძღვარმა დეკანოზმა ს. შენაშვილმა.

რაღა თქმა უნდა, ამისთანა წინადადება დიდის სიხარულით მისაღები იყო მეთვალყურის და სამაზრო რჩევისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც იჩინა თავი ყოვლის გამაუბრანებელმა და დამღუპველმა მტრობამ, შურმა და განხეთქილებამ. ამისათვის ზოგი ამჯობინებდა ამ სასწავლებლის გამართვას უდაბურს, ეგრედ წოდებულს, ნასომხარს ადგილში და საბუთად იმას ასახელებდა, რომ ამ ხევს წყალი უხვად აქვსო; ზოგი ფანიაანის ხევს ამავე საბუთით, ზოგი წინამხარს, ზოგი ბოდბეს, როგორც სავანეს ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოსას და სხვ. და სხვ.

(დასასრული იქნება)

---

## რუსეთი

—

— პროექტია თურმე შეტანილი, რომ რუსეთის იმპერიის შორეულს ადგილებში საცხოვრებელ პასპორტის ახალი დებულება იქმნას შემოღებული. ამისათვის სახელმწიფო კანცელარიაში დეისტ. სტ. სოვეტ. სერგეევსკის თავმჯდომარეობით სხვადა სხვა უწყებათა წარმომადგენლებისაგან საგანგებო კომისია შესდგება, რომელმაც ამ საქმისათვის ახალი წესები უნდა შეიმუშაოს.

— საერთა შორისო სასტატისტიკო ინსტიტუტის სხდომები პეტერბურგში 18 აგვისტოს დაიწყება და 5 დღეს გასტანს. სტუმრების დასახვედრად მთავრობას 10,000 მან. გადაუდვია.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუწერია გუბერნატორებისათვის, რომ სასოფლო საკრედიტო დაწესებულებათა სია წარუდგინონ მას. იგივე სიები და იმავე დროს ფინანსთა სამინისტროსაც უნდა წარუდგინონ.

---

17,200 მან., ხილისა — 36,360 მან., ბოჟისა — 101,000 მან., ბანკისა — 330450 მან., ზემო-აკუშისა — 1120, ქვემო-აკუშისა — 76,400 მან.; სევრუჟისა — 18,100 მან..

1891 წლიდგან 1894 წლამდე: მინგეჩაურისა — 3055 მან.; ემირისა — 705 მან.; კერპიკენტისა — 1342 მან.; ზარდობისა — 922 მან.; ხოჯალისა — 1105 მან.; ნარიხისა — 12,505 მან.; ზუბოვსკისა - 6230 მან.; ვენჯალისა — 103,200 მან.; სალიანისა — 5511 მან.; ხილისა — 43,000 მან.; ბოჟისა — 131,200 მან.: ბანკისა — 503,000 მან.; ქვემო-აკუშისა — 111,355 მან.; სევრუჟისა — 18,100 მან..

1894 წლიდგან 1897 წლამდე: მინგეჩაურისა — 4510 მანეთად (მეიჯარადრე მისკაროვი); ემირისა — 1206 მან. (მეიჯარადრე სოლთანოვი); კერპიკენტისა — 2120 მან. (მეიჯარადრე ახმედ-ჰუსეინ-ოღლი); ზარდობისა — 926 მან. (მეიჯარადრე ლუკასოვი); ხოჯალისა — 1,420 მან. (მეიჯარადრე ფირალოვი); ნარიხისა — 17,200 მან. (მეიჯარადრე თუნიბეგოვი) ჯევათისა — 910 მან. (მეიჯარადრე თუნიბეგოვი); ყოვრათლისა — 1026 მან. (მეიჯარადრე ფირალოვი); ზუბოვსკისა — 4,456 მან. (მეიჯარადრე მაილოვი); გენჯალისა — 103,300 მან. (მეიჯარადრე ფითოევი და ამხ.); სალიანისა — 7,400 მან. (მეიჯარადრე არამაკლისოვი); ნიკოლაევსკისა — 8,200 მან. (მეიჯარადრე ციტოხცევი); ხილისა — 10,200 მან. მეიჯარადრე მაილოვი); ბოჟისა — 57000 მან. (მეიჯარადრენი ფითოევი და ამხ.); ბანკისა - 652000 მან. (მეიჯარადრენი ფითოევი და ამხანაგობა) ზემო-აკუშისა — 200 მან. (მეიჯარადრენი იგივენი;) ქვემო-აკუშისა — 111500 (იგივენი); სევრუჟისა — 2410 მან. (მეიჯარადრე პაპოვი).

29 აპრილს — 3 მაისს დანიშნული იყო ბაქოში ხელ-ახლად გაცემა იჯარით თევზის სამრეწველოებისა ამ 1897 წლიდგან სამის წლის ვადით. მტკვრის სამრეწველოები დარჩათ: მინგეჩაურისა — სულთანოვს 4,600 მანეთად წელიწადში; ემირისა — მისკაროვს 2,556 მან.; კერპიკენტისა — ალამუსტაფაოღლის — 4610 მან. ზარდობისა — ნაზაროვს 2,722 მან.; ფეთხალინისა — თუნიბეკოვს 1055 მან.; ხოჯალისა — თუნიბეკოვს 3050 მან.; ნარიხისა — ოსიპოვს 37,350 მან.; ჯევათისა — ოსიპოვს 1550 მან.; ყოვრათლისა - გუკასოვს 2060 მან., ზუბოვსკისა — მარტიროსოვს 17,260 მან.; გენჯალისა — მაილოვს 140,355 მან.; სალიანისა — ქამოევს 18,400 მან .; ნიკოლაევსკისა — ფითოევს 16,204 მან.; ხილისა — ფითოევს 43,200 მან.; ბოჟისა — ფითოევს 91,000 მან.; ბანკისა — ფითოევს 652,300 მან.; ზემო-აკუშისა — მაილოვს 1,400 მან.; ქვემო აკუშისა — მაილოვს 163,550 მან.; სევრუჟისა — მაილოვს 7,600 მან.

1880 წლიდანვე არსდება ბაქოში სამმართველო მეთევზეობის მრეწველობისა, რომლის რაიონს შეადგენს მდ. მტკვარი ივრისა და ალაზნის შესართავამდე, არაქსის სამრეწველოები და კასპიის ზღვა მდ. სამურიდგან მდ. ასტარამდე. ეს უკანასკნელი მდინარე რუსეთისა და სპარსეთის საზღვარზეა. მთელი ეს სივრცე დაყოფილია რამდენსამე ნაწილად ანუ რაიონად. ამგვარი რაიონი მდ. მტკვარზედ ექვსია თუ შვიდი. თითოეულს ნაწილში თითო ზედამხედველია თავისის თანაშემწით, რომლებიც შეადგენენ თევზის მრეწველობის პოლიციას. ყველა ესენი ემორჩილებიან ბაქოს მეთევზეობის მრეწველობის სამმართველოს, მას უდგენენ ყოველგვარს ანგარიშს თავისის მოქმედებისას, მხოლოდ უკანასკნელი — სამიწადმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს. თევზის მრეწველობის პოლიციის მოვალეობაა თვალ-ყური ადევნოს, თევზის-ჭერა კანონიერია თუ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება აქვს შეადგინოსს ოქმი და წარუდგინოს თევზის მრეწველობის სამმართველოს განსახილველად. თუ სამმართველომ დაინახა, რომ ოქმი სამართლიანია, მეიჯარადრეს, რომელზედაც ოქმი შედგენილია, ახდევინებს ჯარიმას კანონისამებრ, რომლის მეოთხედი ნაწილი ოქმის შემდგენელისაა. თუ საქმის ვითარებიდან სჩანს, რომ ბრალდებული — თევზის მეიჯარადრე — ჯარიმის გარდა უნდა განსამართლებულ იქმნას სისხლის სამართლით, მაშინ თევზის მრეწველობის სამმართველო მთელს საქმეს გარდასცემს სასამართლოს. ამგვარად, ერთს მხარეზედა სდგას კაპიტალისტი — თევზის მწარმოებელი, რომელიც სცდილობს, რაც შეიძლება მეტს გამოსტჩეს ბუნებას, რაც შეიძლება თავისუფლად ისარგებლოს მტკვრის ბუნებითის სიმდიდრით — თევზით, მეორე მხარეზედ — თევზის მრეწველობის პოლიცია, რომელიც კანონის ძალითა და სახელით თევზის მწარმოებელსა არ აძლევს ამგვარს თავისუფლებას. ამისათვის, უეჭველია, რომ თევზის — მწარმოებელთა და თევზის მრეწველობის პოლიციას შორის არ უნდა იყოს მეგობრული განწყობილება და დამოკიდებულება. პოლიცია იმდენად ცუდი უნდა იყოს თევზის მწარმოებლის თვალში, რამდენადაც იგი მტკიცე და სასტიკი აღმასრულებელია კანონისა; და იმდენად კარგი, რამდენადაც სუსტია ამ საქმეში. მაგრამ მეორეს მხრივ ზოგიერთნი პოლიციის მოხელენიც ზოგჯერ უსამართლოდ და ტყუილ უბრალოზედ ადგენენ ოქმს, რომელსაც თუმცა სამმართველოს უდგენენ, მაგრამ იგი არ ამტკიცებს ამ გვარს ოქმს.

(დასასრული იქმნება)

— საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიას ხშირად ეკითხებიან ხოლმე, შეიძლება თუ არა სასულიერო აკადემიაში სწავლა დამთავრებულნი მიიღოთო. აკადემიაში შესვლის მსურველთ, თუ რომ გიმნაზიის შესრულების მოწმობა არა აქვთ, არ მიიღებიანო; არ მიიღებიან აგრეთვე ისინი, ვისაც საბეითალო ინსტიტუტი დაუსრულებია ან ფარმაცევტობის ნაწილი შეუსწავლია, თუ იგივე მოწმობა არა აქვთო, სწერს გაზ. „მიროვიე ოტგოლოსკი".

— უწმიდესს სინოდში ამ ჟამად ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, თუ რა საშუალება იღონონ, რომ ახლად დაცლილს სამრევლო ადგილებზედ ისე ბევრი თხოვნა არ შედიოდეს სამღვდელოთაგან.

— საერო განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მომავალში არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ ექმნებათ დაბალ სასწავლებლების წიგნთ-საცავებისათვის სხვა-და-სხვა დრო-გამოშვებითი გამოცემანი გამოიწერონ სწავლულთა კომიტეტის ნება-დაურთველად, თუ გამოცემა ტეხნიკურისა და სპეციალურის ხასიათისაა და არა პოლიტიკურისა, ან საზოგადო სალიტერატუროა, ან კომიტეტს ერთხელ ადრევე ნება დაურთავსო.

— დანტისტთა *) პირველის საზოგადოების გამგეობას შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო საბჭოზედ საჩივარი წარუდგენია უმართებულესს სენატში იმის შესახებ, რომ ხსენებულმა საბჭომ დანტისტებს კბილის ექიმობის სახელის ტარება, რეცეპტებით წამლის გამოწერა და კბილის ექიმობის სპეციალურ კაბინეთების დაარსება აღუკრძალაო. უმართებულესმა სენატმა ეს საქმე დაწვრილებით განიხილა და საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა, რადგან კანონიერად სცნო, რომ არც ერთისა, არც მეორისა და არც მესამის უფლება არა აქვთო.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** პეტერბურგიდგან სწერენ გაზეთ „Nord"-ს: „ამ ზაფხულს ჩვენ ორი ძვირფასი სტუმარი გვეწვევა: საფრანგეთის პრეზიდენტი და მათი უდიდებულესობა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II.

„თუმცა ნამდვილად არ ვიცით რა დროს გვეწვევა ფელიქს ფორი, მაგრამ ყველა, უავგუსტოესს იმპერატორიდგან დაწყებული უკანასკნელ გლეხამდე, დარწმუნებულია, რომ მოკავშირე სახელმწიფოს პრეზიდენტს უეჭველად ვნახავთ ჩვენ შორის.

„რუსები სიხარულით მიეგებებიან მეგობარ სახელმწიფოს წარმომადგენელს და ყველას აშკარად დაანახვებენ, თუ რა მეგობრული დამოკიდებულებაა რუსეთსა და საფრანგეთს შორის.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ფელიქს ფორი პეტერბურგში მარტო ოფიციალურად არ იქმნება მიღებული, უკანასკნელი გლეხიც-კი გამსჭვალული იქმნება საფრანგეთის სიყვარულით და პრეზიდენტის დანახვა ყველასათვის სანატრელი და სასურველი შეიქმნება:

„ორის ან სამის კვირის შემდეგ პეტერბურგს ესტუმრება მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II, მაგრამ იმის მიღებას მარტო ოფიციალური ხასიათი ექმნება და უბრალო ხალხი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს.

მართალია, ძალიან კარგ განწყობილებაში ვართ ჩვენ და მეზობელი გერმანია, მაგრამ იმპერატორის მოსვლა იმ აღტაცებასა და სიხარულს არ გამოიწვევს ჩვენში, რასაც საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორისა!

—

**საბერძნეთი.** საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ზავის შესახებ მოლაპარაკებას ჯერ დასასრული არ უჩანს და საბერძნეთი-კი თითქმის ყოველ დღე შეჰღაღადებს ევროპას: ძალა დაატანეთ ოსმალეთს და დააჩქარეთ მოლაპარაკება, თორემ ეს არის ვიღუპებიო. როგორც გაზეთები იუწყებიან, საბერძნეთს გარეშე საქმეთა მინისტრს სკულუდის კიდევ გაუგზავნია ქაღალდი ევროპის სახელმწიფოთათვის, რომელშიაც ეხვეწება ზავის შესახებ მოლაპარაკება ჩქარა გაათავეთო. ამავე წერილში სკულუდისი ამბობს, რომ ოთხის მილიონის სამხედრო ჯილდოს გარდახდა საბერძნეთს არ შეუძლიანო, განსაკუთრებულ თუ ევროპამ თავდებობა არ გაუწიაო. ასეა თუ ისე საბერძნეთმა უნდა იკისროს ოთხის მილიონის სამხედრო ჯარიმის გარდახდა, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საგნის შესახებ ხელ ახლა მოლაპარაკება კიდევ დიდხანს გასტანს და ამით ხომ ერთი ორად მეტი ზარალი მიეცემა საბერძნეთსაო.

**ინგლისი.** ინგლისის გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ იმ გარემოებას, რომ დედოფალ ვიქტორიას იუბილეის დღესასწაულებს „შესანიშნავი მოხუცი" გლადსტონი არ დასწრებია. ყველა გაკვირვებულია, რომ ვიქტორიას მეფობის დროის პირველმა კაცმა ინგლისისამ პატივი არა სცა დედოფალს და საერო დღესასწაულებში არავითარი მონაწილეობა არ მიიღოო. მაგრამ როგორც ახლა გამოაშკარავდა, ამის მიზეზი სულ სხვა გარემოება ყოფილა. გლადსტონმა ამ რამდენისამე ხნის წინად თავისს სიტყვაში აძაგა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის პოლიტიკა ევროპის საერთო საქმეში. ვილჰელმს საშინლად სწყენია ესა და მოუთხოვნია თავისის დედისა და იუბილეიზედ წარმომადგენელთათვის, რომ ისინი მოერიდნენ გლადსტონთან შეხვედრას და თუ შეუძლებელი იქმნება ეს, ისე დაიჭირონ თავი, ვითომც ვერ ჰხედვენ იმას. უელსის პრინცმა ყოველივე ეს წერილით შეატყობინა გლადსტონს და თან დასძინა თურმე, ეხლა თქვენ იცით დაესწრებით თუ არა საიუბილეო დღესასწაულსაო. გლადსტონმაც შეუთვალა თურმე პრინცს, იუბილეის არ დავესწრებიო. მიუხედავად ამისა, გლადსტონმა მაინც ისარგებლა იუბილეით: იუბილეის დროს ჰოვარდენში ვიქტორიას შესახებ წარმოსთქვა სიტყვა და, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ყველა ხელმწიფე ისე პატიოსნად და ნათლად არ ასრულებს თავისს მოვალეობას, როგორც ჩვენი დედოფალი ვიქტორიაო. ამით, გაზეთების სიტყვით, გლადსტონმა ვილჰელმს გადაჰკრაო.

# ნაკვესი

—

მაღალის ტანისა და მაღიან გამხდარი კაცი შეჰხვდა დაბალ-დაბალსა და ჩასუქებულს მთვრალს კაცს, შესდგა და უთხრა:

— მეგობარო! შენ მგონია ძალიან ბევრი დაგილევია!

— მე-კი, მეგობარო, ასე მგონიაო, უპასუხა ნასვამმა: რომ შენ ძალიან ცოტა გიჭამიაო!

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ყველას კარგად მოეხსენება, რამდენად მავნებელია ადამიანისთვის ნოტიო სახლში ცხოვრება. სამწუხაროდ, ჩვენი სახლის აშენებელნი და პატრონები სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ჰიგიენის მოთხოვნილებას და მხოლოდ იმასა ჰფიქრობენ, ისე ავაშენოთ სახლი, რომ, რაც შეიძლება, იაფად დაგვიჯდეს და დიდი შემოსავალი მოგვიტანოსო. იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც კაცი სახლს აშენებს, უფრო იმას აქცევს ყურადღებას, ლამაზი სახლი გამოვჰყიოო. ჰიგიენის მოთხოვნილება კი ან არ ესმის, ან სრულებით არც-კი აგონდება.

შენობისთვის წყალია საჭირო. მაგრამ არავინა ჰფიქრობს იმას, რომ შენობისათვის ნახმარი წყალი კარგი და სუფთა იყოს. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ ახალი სახლი უფრო მავნებელია ხოლმე ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

წყალის გარდა, საჭიროა შენობისათვის კარგი მასალა იხმაროს სახლის ამშენებელმა. ხშირად იმის გულისათვის, რომ სახლი იაფად დაგვიჯდესო, კედლებში ატანენ „ხურდას" ე. ი. წვრილ ქვას, ქვიშას, აგურის ნატეხებს, ნაგავსა, მტვერს და სხვ. ეჭვი არ არის, რომ ეს „ხურდა" მავნებელი უნდა იყოს მცხოვრებლებისთვის.

ერთი ინგლისელი მკურნალი (მურეი) სწერს: ერთ პატარა ქალაქში ერთხელ ძლიერ გავრცელდა სახადი და მალე შევამჩნიე, რომ ეს სენი გავრცელებული იყო ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც ახლად გაშენდა, და განსაკუთრებით მძვინვარებდა ახალ სახლებში. ძველის სახლების მცხოვრებნი-კი თითქმის ყველანი გადარჩნენ ამ სენსა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 ივნისი.

**პეტერბურგი.** 24 ივნისს, სიამის მეფე და პრინცნი თავისის ამალითურთ მოსკოვს წაბრძანდნენ. მოსკოვში მეფე სამს დღეს დაჰყოფს. მოსკოვშივე მივლენ ორი სხვა სიამელი პრინცი.

**კონსტანტინეპოლი.** თუმცა პორტამ ელჩებს ვერაფერი დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცა და ალდიზა კიოსკი კვლავ იმის ცდაშია, რომ სალაზრიამედ იქმნეს სასამზღვრო მიჯნა გატანილი, მაინც მშვიდობიანს მოლაპარაკებას ვერა შესწყვეტავსრა და ამის შესახებ შიში სრულიად უსაფუძვლოა.

**პარიზი.** პალატა. პრეზიდენტის რუსეთში წამოსასვლელად საჭირო კრედიტი დიდის ხმის უმეტესობით იქმნა მიღებული. ჰანოტოს განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერატორმა საფრანგეთის პრეზიდენტი მიიწვია, ხალხი აღტაცებულის ტაშის-კვრით მიეგება.

**პარიზი.** სენატი. პრეზიდენტის ფორის რუსეთში წასვლაზედ საჭირო კრედიტის შესახებ მილიომ მოხსენება წაიკითხა. გამოცხადებულ იქმნა, რომ კრედიტი დაუყოვნებლივ იქმნას მიღებული. ლარენტიმ აღნიშნული თანხა მცირედ სცნო და აზრი შეიტანა, რომ მილლიონი გადაედვათ ამ მგზავრობისათვის. ჰანოტო წინააღმდეგი გაუხდა: საფრანგეთმა რუსეთის იმპერატორი ღირსეულად მიიღო და ეხლაც საფრანგეთის პრეზიდენტი უთუოდ ეცდება, რომ ღირსეულად იმგზავროს რუსეთშიო. (ტაშის კვრა ისმის). ლარენტის აზრი უარ-ჰყვეს. კრედიტი ეთხმად იქმნა მიღებული.

**ვენეცია.** 24 ივნისს აქ იმპერატორი ფრანც-იოსები მობრძანდა, რომ დანიის მეფეს დარბაზობა გადაუხადოს.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 205 3/4 |
| 4 1/2 % გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 100 5/8 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99 3/4 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | 101 3/8 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99 3/4 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 1/8 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 283 1/2 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 244 1/4 |

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის" მე 111 №-ში მოხსენებულია, ვითომ რაღაც სენი მძვინვარებს სოფელს ოძისში, ახმაჯში, ახალდაბას და მუხრანს, რომელსაც მოხევე უწოდებს სახადად. მე ჩემის გამოკვლევით და პოლიციის ჯეროვანის გამოძიებით დავრწმუნდით, რომ სოფელს ახალდაბაში არც ერთი სული არც ავად გამხდარა და არც მომკვდარა. სოფ. ახმაჯში მოკვდა ერთი არა-გადამდების სენით, იგი ავადმყოფობდა ოთხს თვესა. სოფელს ოძისში რამდენიმე გარდაიცვალა ჩვეულებრივად. მხოლოდ გავრცელებულია წითელა, რომლითაც გახდა ავად 125 სული და ამათგან გარდაიცვალა მხოლოდ 5 სული. ამდენი მსხვერპლი ასეთ მოდებულ ავადმყოფობაში აუცილებელია. ეს სენი გავრცელებულია მთელს ქართლში. რაც შეეხება სოფ. მუხრანს, ვაცხადებ, რომ ყვავილი ამ სოფელში სრულიად არა ყოფილა. აქაც წითელით იყვნენ 100 სული. ამათგან მოკვდა ორი. ამ ჩვენებიდგან სჩანს, რომ მოხსენებულს სოფლებში არა ყოფილა არც სახადი, არც ყვავილი და თავისს კორესპონდენციით მოხევეს შეცდომაში შეჰყავს მკითხველები. დანარჩენის შესახებ ლაპარაკს მეტად ვთვლი. მე ჩემი თანამდებობა ნებას არ მაძლევს უფრო ვრცლად გავეცე კორესპონდენტს, რადგან ჩემის სამსახურის გამო მოხსენებას მხოლოდ ჯეროვანს მთავრობას ვუგზავნი.

„ცნობის ფურცელსაც" ვთხოვ გადაბეჭდოს ეს წერილი.

დუშეთის მაზრის სასოფლო ექიმი
გ. ბროძელი.

—

ამ ბოლო დროს მღ. მამა ეპიფანე ჩხაიძემ და სხვა საპატიო კეთილშობილთ ს. ჯურუყვეთში მოინდომეს სკოლისა და სამკითხველოს გამართვა ჯურუყვეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიასთან. ამ საქველ მოქმედო საქმეს ყველა თანაგრძნობით მოეპყრა და ბევრმა ბათუმიდგანაც შემოსწირეს ფული. სასკოლო პატარა სახლი უკვე ნასყიდია და სწავლაც დაწყებულია, მაგრამ სამკითხველოს საქმე ჯერ სავსებით არ არის სისრულეში მოყვანილი. ამისათვის ბევრს ქართველს მივმართე ბათუმში, რომ რაიმე შემწეობა აღმოეჩინათ და თხოვნა უნაყოფოდ არ დარჩა, რისათვისაც უზომო მადლობის ღირსნი არიან. ბ-ნმა ეფრემ კილურაძემ შეჰკრიბა სამკითხველოს სასარგებლოდ საჭირო ხის ავეჯეულობა და ჟურნალ-გაზეთები. აი სია შემომწირველ ავეჯეულობისა: 1 მაგიდა, ღირებული 7 მან., 6 სკამი, ღირ. 3 მან., 1 დასადგმელი ლამპარი, ღირ. 3 მან., 1 ნავთის ჭურჭელი—50 კაპ.; ჟურნალ-გაზეთებიდგან: „მოამბე"—11 ნომ.—96 წლ.; „ივერია"—179 ნომ.—96 წლ.; „კვალი"—52 ნომ.—96 წ.; „ჯეჯილი"—11 ნომ.—96 წ.; „მწყემსი"—20 ნომ.—96 წ. „Новое Обозрѣніе"—197 ნომ.—96 წ.; „ცნობის ფურცელი"—73 ნომ,—96 წ. და დავით აღმაშენებელისა და გაბრიელ ეპისკოპოსის თითო სურათი. სია შემომწირველთა: მიხეილ დათუაშვილი; მიხეილ სიორიძე, ანტონ ჩხაიძე, შევარდენ მელია, მიხეილ ფერაძე, თეიმურაზ თოფურია, ლევან ქვანია, ვასილ ხუჭუა, ირაკლი დოლიძე, დიომიდე გოგიტიძე, ალექსანდრე გრომოვი, ანტონ მიქელაიშვილი, ბესარიონ ადეიშვილი, კირილე ჩიხლაძე, ილიკო ღოლობერიძე, თეოფანე ანჯაფარიძე და ეფრემ კილურაძე.

ყველა ამათ გულითადს მადლობას ვუძღვნით.

კ. გიგინეიშვილი


# განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები
გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა,
თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.


---

*) დანტისტი უფლებით იგივე კბილის ექიმი არ არის. შეუძლიან მხოლოდ კბილები ჩაუსხას, გაუწმინდოს, ამოაძროს და სხ., ხოლო პირის სნეულებათა წამლობა-კი არ შეუძლიან და, რასაკვირველია, არც რეცეპტით წამლის გამოწერა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 25 го Юнія 1897 г
სტამბა ა. ძარძაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.